



საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4100, სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 107

16 ივნისი 2020 წელი

ირინე დგებუაძეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის იურიდიულ საკითხებში თანამდებობიდან განთავისუფლების და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის იურიდიულ საკითხებში ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მესამე პუნქტის 43-ე მუხლის, „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (რეგლამენტის) დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №17 დადგენილების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს №41 დადგენილების და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ვეფხვია რუსიას 2020 წლის 9 ივნისის №136 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. განთავისუფლდეს ირინე დგებუაძე სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის იურიდიულ საკითხებში თანამდებობიდან და დაინიშნოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის იურიდიულ საკითხებში ვაკანტურ თანამდებობაზე 2020 წლის 16 ივნისიდან.
2. შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) განისაზღვროს დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.
3. გამოცემული ბრძანების ასლი გადაეგზავნოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის მ/შ



ზადრი კალანდარიშვილი